მუშათა წელიწადი

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ., წ. სრ. და მაჯრ დეპ. საბ. ცაკის ორგანო

რედაქცია ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივნის.

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელის მომწ. 80 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებ ათვის 90 კაპ. განცხადება 20 კ. ჩირვონცებით მომპარეულის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ.

№ 89 (944) შაბათი, 19 აპრილი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. (625 მილ.) № 89 (944)

## დღიური

— გერმანიის მუშების გაფიცვა მასიურ ხასიათს ღებულობს; დაითვლილია 88 ათასი მუშა.

— იაპონიის მთავრობა დიდი უკმაყოფილოებით ამერიკის მთავრობით რომელმაც აკრძალა ამერიკაში შესვლა.

— პოლონეთის მუშები ემზადებიან პირველი მაისის დღესასწაულისათვის; კომპარტია მოითხოვს 4 ათასი პოლიტიკური ტუსაღის განთავისუფლებას.

— პოლონეთის განაპირა ოლქებში იზრდება უკმაყოფილება პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ.

# საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

### ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „კომუნისტმა" დაუზოგავი შრომის შემდეგ ამ დარგში საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა და გაადიდა თავისი ტირაჟი. მაგრამ მიუხედავად ამ საერთო გაუმჯობესებისა გაზეთის ზოგიერთ განყოფილებებს აქვს მთელი რიგი ნაკლულოვანებისა. ერთ-ერთ ასეთ განყოფილებას წარმოადგენს „პარტიული ცხოვრება".

ჩვენმა პარტიულმა აზრმა თავის გამოხატულება უნდა ჰპოვოს პრესაში. პარტიული ცხოვრების საკითხები ფართოდ უნდა ირჩეოდეს ჩვენს გაზეთებში.

საქართველოს კომპარტიის ცეკა აქეთკენ აქცევს ჩვენი ამხანაგების უდიდეს ყურადღებას. „კომუნისტი"-ს პარტიული ცხოვრების განყოფილება სამაგალითო უნდა გახდეს.

ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას აძლევს 1/2 მაისის ხუთამდე ადგილებზე არჩეულ იქნეს მუდმივი კადრი პასუხისმგებელ პარტიულ კორესპონდენტებისა, რომლებიც სისტემატიურად უნდა აწვდიდენ წერილებს და კორესპონდენციებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „კომუნისტს" ადგილებზე პარტიული მუშაობის შესახებ.

პარტკომების და უჯრედების მიერ გამოყოფილ კორესპონდენტთა სია გამოგზავნეთ საქართველოს კომპარტიის ცეკაში, ასლი კი გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციაში 10 მაისამდე. სიებში შეტანილ ყოველგვარ ცვლილებების შესახებ უნდა ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტს და „კომუნისტი"-ს რედაქციას.

შენიშვნა: ა) ხარჯებს კორესპონდენციის გადასაგზავნად იკისრებს „კომუნისტი".

ბ) კორესპონდენციებისათვის „კომუნისტი" აძლევს მათ ავტორებს განსაზღვრულ ჰონორარს.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ბ. ლომინაძე.

ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე

ვ. ბახტაძე.

# ადგილობრივი პარტორგანიზაციები და ჩვენი პრესა

(ცეკას ცირკულარის გამო)

[illegible]

# შრომის დაცვა სოფლად

I

[illegible]

# კოოპერაციის გარშემო

II

[illegible]

# რადიო-დეპეშები

(„ზაკ როსტა"-ს ცნობები)

## ჩვენი დელეგაცია განაგრძობს მოლაპარაკებას ინგლისთან

## კონფერენციის მუშაობა შეწყდა სააღდგომო დღესასწაულის გამო

### ესტონიის მუშები აცხადებენ, რომ ესტონიას იხსნის მხოლოდ კავშირი საბჭოთა ფედერაციასთან.

### სპარსეთის პარლამენტის ოპოზიცია მთავრობისაგან მოითხოვს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ოპერაციების გადიდებას.

## ლონდონის კონფერენციის სხდომის განხილვა

ლონდონი. 16 აპ. ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის მე ამე სხდომა შედგა 16 აპრილს გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში. განიხილეს საკითხი დღის წესრიგის შესახებ. მოხდა აზრთა გაცვლა გამოკვლევა იმის გამო, თუ რომელი საკითხები უნდა იქნას დასმული პირველ რიგში, რათა კონფერენცია შეუდგეს უფრო ნაყოფიერ მუშაობას. საკითხის შემდეგი განხილვა მიენდო საორგანიზაციო კომისიას რაკოვსკის და პონსონბის მონაწილეობით, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ დასკვნას შემდეგ სხდომაზე. შემდეგი სხდომა დანიშნულია 21 აპრილისათვის სააღდგომო დღესასწაულების გამო.

## კონფერენციის გახსნის შემდეგ

მოლაპარაკება მიდის ნელა.

ლონდონი 16 აპრილი. ტრანსპორტელების კავშირის თავმჯდომარემ რობერტ ვილიამსმა „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მაკდონალდი და რაკოვსკი ხელშეკრულების მომხრენი არიან, რომ ორთავე მხრით ადგილი აქვს [...] ქცევა უფრო მეტი ყურადღება, ვინემ მათ, რომლებიც ზრუნავენ ვალების ცნობაზე ამ პირობით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს შეთანხმება, რომელიც შეიფერება საბჭოთა კავშირის ინტერესებს.

ლანსბერიმ განაცხადა, რომ რაკოვსკი ხელშეკრ [...]

[...] სხვ, რომ დაცვანებს არ ჰქონია გასხვას ჩ დენიდ საქციელის ხასიათი, ეს გაუცილებელი იყო და პრემიერს აცნობეს ამის შესახებ ტელეფონით. მხოლოდ „მორნინგ პოსტმა" და „მანჩესტერ გარდიანმა" დაბეჭდეს ეს ოფიციალური ცნობა. კონსერვატიული გაზეთები კი სარგებლობენ დაგვიანებით საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

მუშაობის შეწყვეტა.

ბერლინი. 18 აპრილი. ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენცია გადადებულია სააღდგომო დღესასწაულების დასრულებამდე.

## პრესის აზრი კონფერენციის შესახებ

იტალიის პრესის პესიმისტური განწყობილება

რომი. 16 აპრილი. იტალიის პრესა პესიმისტურად უცქერის ინგლისსაბჭოთა კავშირის კონფერენციას „ილ. მონდო" სწერს: „შეთანხმების გზაზე არსებული სიძნელენი, მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მხარეები სულ სხვადასხვა მხრივ უდგებიან ვალების და კერძო პირთა ზარალის ანაზღაურების საკითხებს, არამედ იმაშიაც, რომ რუსეთის და ინგლისის ინტერესები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთში და კერძოთ სრუტეების საკითხში. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ლონდონის კონფერენციაზე დასმული პრობლემები შეეხებიან სხვა წრეების ინტერესებსაც და ურჩევს იტალიის საზოგადოებრივ აზრს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრას კონფერენციის მიმდინარეობას.

## კონფერენციის გარშემო

[illegible]

# საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

[illegible]

# უფა-ცხორების საიდუმლოდან

[illegible]

საქართველოს კომპარტიის

# მესამე ყრილობა

მოწვეულ იქნება ამა წლის 5 მაისს

[illegible]

# ბალკანეთში

[illegible]

...ვარიო მდგომარეობას და კაბინეტში შეიყვანს დამოუკიდებელ დემოკრატებს და რადიკალებს.

**მაკედონელების დევნის გამო**

ბელგრადი 17 აპრილი. უპასუხა რა შეკითხვაზე ეროვნულ კრებაში მაკედონელების დაპატიმრების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრმა გა[...] იქნას კონცენტრაციული კაბინეტი დემოკრატების და რადიკალების მონაწილეობით, ფედერალისტურ ბლოკიდან გასულის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცე კაბინეტის შედგენა შეუძლებელი მოხდა, პაშიჩი დაითხოვს „სკუპშინას" და 3 თვის შემდეგ დანიშნავს ახალ არჩევნებს.

# რა ხდება გერმანიაში

**კომპარტიის მოწოდების გამოცემისათვის.**

ბერლინი. 16 აპრილი. კომპარტიის ყრილობის რეზოლუციების გამოქვეყნებისათვის დახურის კომუნისტური გაზეთი „შამბურგერ ფოლკს ცაიტუნგ"-ი. კომპარტიის წინამძღოლების დევნისათვის სახელმწიფო ტრიბუნალმა ორი კომუნისტი მიუსაჯა ციხეში დამწყვდევა 8 და 15 თვის ვადით.

**8 საათის სამუშაო დღის საწინააღმდეგოდ.**

ბერლინი. 16 აპრილი. გერმანიის ქრისტიანული პროფკავშირების საბჭოს რეინის განყოფილებამ შეადგინა კომისია, რომელმაც უნდა მოახდინოს რეფერენდუმი გერმანიაში 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

**მადაროების მუშების ყრილობის მოწვევა**

ბერლინი. 16 აპრილი. რურის მადაროების მუშების ქრისტიანული პროფკავშირები უკმაყოფილო არიან თავიანთი ლიდერების მოქმედებით, რომელნიც საკმაო სიძლიერით ვერ იცავენ მუშების მოთხოვნილებებს შრომის ხელფასის გადიდების შესახებ. რურის მუშების ეკონომიური მდგომარეობა უარესდება. ბოხუმში ახლო მომავალში მოწვეული იქნება მადაროების მუშების ყრილობა; ამის გამო მთავრობამ 23 აპრილისათვის დანიშნა მოლაპარაკება პროფკავშირების წარმომადგენლებთან ესსენში; მთავრობა ფიქრობს, რომ ამ მოლაპარაკებით ის გააქარწყლებს მომავალ ყრილობის მნიშვნელობას.

**საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების სრულიად გერმანიის ყრილობა**

ბერლინი, 16 აპრილი. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს დახმარება გაუწიონ საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებს სრულიად გერმანიის ყრილობას, რომელიც მაისის დამლევს იქნება მოწვეული. გამოქვეყნებულ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ლიუდვიგსჰაფენის მუშა-ქიმიკოსების და ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების ბრძოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ეხლა, როდესაც გერმანიის მუშა კლასს ახალი საშიშროება მოელის. ექსპერტთა კომისიის გეგმის მიღების შემდეგ გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა გაუარესდება.

**კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ.**

ბერლინი, 16 აპრილი. ბურჟუაზიულმა და სოციალ დემოკრატიულმა პრესამ დაიწყო კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ, რომელსაც ის ბრალს სდებს ახალი გადატრიალების მომზადებაში. განსაკუთრებულ დანაშაულად უთვლიან კომპარტიის მადაროების მუშების და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების ყრილობის მოწვევას, რომელშიაც ის აქტიურ მონაწილეობას იღებს.

**ქალაქის რკინიგზებზე მოსალოდნელი გაფიცვა.**

ბერლინი, 16 აპრილი. იმის გამო, რომ მოთხოვნილება შრომის ხელფასის გადიდების შესახებ შესრულებული არ იქნა, ქალაქის რკინიგზების მუშები იმუქრებიან გაფიცვით. ტრანსპორტელთა კავშირის ცენტრალური საბჭო სცდილობს ხელი შეუშალოს გაფიცვას და დაიწყოს ახალი მოლაპარაკება მწარმოებლებთან. „ფორვერტს"-იც აგრეთვე მოითხოვს მწარმოებლებთან შეთანხმებას. ბერლინის მიწის ქვეშა რკინიგზის დირექცია უარს ამბობს მოლაპარაკებაზე და იმუქრება რეპრესიებით იმ შემთხვევაში, თუ მუშები გამოაცხადებენ გაფიცვას.

# მდგომარეობა პოლონეთში

**მზადება 1-ლი მაისის დღესასწაულისათვის.**

ვარშავა 16 აპრილი. პოლონეთის მუშათა წრეები ემზადებიან 1-ლი მაისის დღესასწაულისათვის. კომუნისტური პარტია გამოდის შემდეგი ლოზუნგით: „განთავისუფლება 4 000 პოლიტიკური პატიმრის, რომელნიც იტანჯებიან პოლონეთის ციხეებში". პოლონეთის სოციალისტური პარტია გამოდის ლოზუნგით: „სახალხო მთავრობა". პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ზეგავლენით დაადგინა დაავალოს პროფკავშირებს პირველი მაისის დემონსტრაციები მოაწყონ პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან და ბუნდთან ერთად. უკრაინის სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ პროტესტი განაცხადა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების წინააღმდეგ

**დაჩაგრული ბელორუსია შურს იძიებს.**

ვარშავა 16 აპრილი. პოლონეთის ოკუპირებულ კუთხეებში გახშირდა თავდასხმა მემამულეების სახლებზე. ნესვიჟის მაზრაში თავდასხმებს ახდენს ცნობილი ატამანის მუხის რაზმი. ადგილობრივი მოსახლეობა ყოველის მხრივ ეხმარება პარტიზანულ რაზმებს; გლეხობის აზრით, პარტიზანული რაზმები შურს იძიებენ გლეხობისა და მოჯამაგირეების დაჩაგვრისათვის.

**პოლონეთით ვაჭრობენ.**

ბერლინი. 18 აპრილი. პოლონეთის მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ბრიტანეთის მწარმოებლებთან ბელოვეჟის ტყეების საექსპლოატაციოთ გაცემის შესახებ. ეს მეორე დიდი კონცესიაა, რომელიც პოლონეთი იძულებულია გასცეს ცალიერ სახელმწიფო ხაზინის შესავსებად ამას წინად პოლონეთმა მისცა იტალიას პოლონეთის თამბაქოს მონოპოლიის უფლება.

# ჩინეთის ამბები

[illegible]

# კომინტერნში

## საფრანგეთის კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლუციები*)

### შინა-პარტიული ორგანიზაცია საფ. კომპარტიისა.

[illegible]

3. პარლამენტის კოლეგია[...] თული უნდა იქნეს პარტიულ აპარატში დამაგვარად უზრუნველყოფილი იყვეს მისი ნამდვილი ხელმძღვანელობა პარლამენტალური ბიუროს და ხელმძღვანელ საბჭოს (ცეკას) მიერ.

4 უნდა გადახალისდეს კომუნისტურ მუნიციპალიტეტების კავშირი იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ხელმძღვანელობა პარლამ. ბიუროს და ხელმძღვ. საბჭოს მიერ.

5. აუცილებელია მჭიდრო კავშირი მოძმე პარტიებთან. სახელდობრ— გერმანიისა, ინგლისისა და ბელგიის [...]თხები, რომელიც წარმოიშვა პროლეტარიატის წინაშე საფრანგეთის იმპერიალიზმის გაძლიერებით და უნდა მოხდეს ვერსალის ხელშეკრულობის ლიკვიდაცია.

ამ გვარათ გაწვრთნის რა პარტია ყოველ საკითხში თვითეულ თავის მომხრეს, მას შეეძლება იბრძოლოს ყოველგვარ ოპორტუნისტულ ბოროტების წინააღმდეგ. მიჰყვება რა კომინტერნის მთავარ ხაზს, პარტიას შეეძლება გამარჯვებით უხელმძღვანელოს საფრანგეთის პროლეტარიატს მოახლოვებულ გადამწყვეტ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

*) იხ. „კომუნისტი" 88.

# ჩვენ და იტალია

## იტალიელი ჟურნალისტი იტალიის და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ოფიციალური ფაშისტური გაზეთის „პოპოლო დ'იტალია"-ს თანამშრომელმა სუტერმა, რომელიც ამჟამად იმყოფება თბილისში, იტალიის და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შესახებ განაცხადა:

— რედაქციამ გამომგზავნა მე იმ მიზნით, რომ გავეცნო იტალიის საზოგადოებრივ აზრს საქმის ნამდვილი მდგომარეობა საბჭოთა კავშირში და გამოვარკვიო ორთავე ქვეყნის ეკონომიური დაახლოვების შესაძლებლობა.

ჟურნალისტების აზრით, სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის პროცესში, რომელიც სწარმოებდა იტალიაში, ადგილი ჰქონდა ბევრ გადაჭარბებულ შეხედულებას საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. მისი მიზანია მიუდგეს საკითხს ობიექტიურათ და მით გაადვილოს იტალიის ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა ქვეყანასთან.

არავითარი დაბრკოლება არ ელობება ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებას მთელს საბჭოთა კავშირში,—და, მაშასადამე, აქაც, ამიერკავკასიაში.

იტალიას შეუძლია მთელი რიგი საქონლის შემოზიდვა ადგილობრივი ბაზრებისათვის მეტად ხელსაყრელ ფასებში. მეორე მხრით იტალიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ნედლ მასალას—შავ-ქვას, კავკასიის ხე ტყის მასალას და სხვ.

სუსტერი აღნიშნავს საზღვაო მიმოსვლის სიადვილეს და სისწრაფეს იტალიის ნავთსადგურებისა და ამიერკავკასიის შორის (ბათომიდან გენუამდე, ვარნამდე, სპენტალამდე მისასვლელად საჭიროა მხოლოდ 8 დღე).

მართალია, იტალიელ კაპიტალისტებს ცოტათი აწუხებს ის ზარალი, რომელიც შედეგად მოჰყვა პოლიტიკური ბრძოლის პერიოდს ამიერკავკასიაში, მაგრამ მაინც სავაჭრო-სამრეწველო წრეებში იმედი აქვთ, რომ სავაჭრო ურთიერთობა ამიერკავკასიასთან, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირთან, მხოლოდ ეხლა მიიღებს შესაფერ განვითარებას.

ვენეციაში ერთი კვირის წინ მუშაობა დაიწყო სავაჭრო კომერციო საზოგადოებამ, რომლის კაპიტალი უდრის ას მილიონ ლირას. საზოგადოების მიზანია გაანაღდოს საბჭოთა კავშირის საექსპორტო პური, რომელიც მიდის უმთავრესად ოდესის ნავთსადგურის საშუალებით.

ამ უკანასკნელ დროს გამოცოცხლდა სავაჭრო საზღვაო ურთიერთობა ამიერ-კავკასიის ნავთსადგურებთან. დღემდე ბათომსა და იტალიას შორის მუშაობდა იტალიის მხოლოდ ერთი გემთა მიმოსვლის საზოგადოება; ამ ჟამად დაიწყო მუშაობა მეორე საზოგადოებამ—„სერვიცი მარიტიმი" დადგენილი იქნება რეისები შავი ზღვის ნავთსადგურებში შესვლით. ამას წინათ მე მივიღე ცნობა, რომ სოხუმში მოვიდა იტალიის გემები საქონლით დატვირთული.

სხვათა შორის, როგორც ვიცით რუსეთ-იტალიის ხელშეკრულებაში შეტანილია მუხლი, რომლის მიხედვით შეღავათი ეძლევა იტალიის გემებს სანავთსადგურო გადასახადების შეკვეცების მხრივ. ხელშეკრულების გარდა არსებული საბაჟო კონვენცია ითვალისწინებს მთელ რიგ შეღავათებს, როგორც იტალიის, ისე საბჭოთა კავშირის საქონლისათვის.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია ხუთ ხუთი ნავთსადგური, როგორც იტალიაში, ისე საბჭოთა კავშირში, სადაც შესაძლებელია საქონლის შენახვა ექვსი თვის განმავლობაში ბაჟის გადაუხდელად.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მიღწეულ შეთანხმების მიხედვით, იტალიის მეაბრეშუმეობის მსხვილი ფირმები ახლო მომავალში მოაწყობენ საქართველოში და სომხეთში ორ წარმოებას აბრეშუმის თესლის კულტურისათვის, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ამიერ-კავკასიის აბრეშუმის ღირსებას. დღემდე, როგორც ვიცით, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აბრეშუმის თესლის მეტ ნაწილს იწერდა საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან და ოსმალეთიდან.

იტალიას ნახშირი არ მოეპოვება. ამიტომ არის ის, რომ იტალიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია ელექტროტექნიკის დარგში, მას იყენებს ის თავის მრეწველობაში, მიმოსვლის საშუალებებში. ამიერ-კავკასიას მიეცემა ყოველგვარი ტექნიკური მოწყობილობანი განზრახულ ელექტროფიკაციისათვის.

ამიერ კავკასიას შეუძლია მიიღოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

იტალიის მთავრობის ორგანოს კორესპონდენტის აზრით, იტალიასა და ამიერ კავკასიას შორის ვაჭრობის შესაძლებლობანი მეტად ფართოა. რასაკვირველია, სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს მხოლოდ საფუძველს, გამოსავალ წერტილს მომავალ სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებისთვის.

სუსტერს საუბარი ჰქონდა ამხანაგ ტროცკისთან, როდესაც უკანასკნელი იმყოფებოდა თბილისში.

# პარტიული ცხოვრება

## ლენინის ნაწერების გამოცემა ქართულ ენაზე

[illegible] ...ნინიზმის შესწავლა უნდა სწარმოებდეს თვით მისივე ნაწერების საშუალებით ამიტომ არის, რომ დღეს ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა ლენინის ქართულად გამოცემისა. ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები.

შემუშავებული გეგმის მიხედვით ქართულად უნდა გამოიცეს ლენინის თხზულებათა სრული კრებული. ამ საქმეს სათავეში უდგას სპეციალური სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედიან: ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე, ისიდორე თალაკვაძე, მიხ. კახიანი, კ. ორაგველიძე და ნოვიკოვი სარედაქციო კოლეგიამ თავის სხდომაზე აირჩია ამხ. ის. თალაკვაძე ამ მხრივ ყოველდღიური მუშაობის სახელმძღვანელოდ. აღსანიშნავია ის, რომ ლენინის ნაწერების გადათარგმნა დავალებული აქვს საუკეთესო მთარგმნელებს, რომლებიც კეთილსინიდისიერათ ეკიდებიან საქმეს.

პირველ რიგში გამოიცემა ლენინის რამოდენიმე ბროშიურები. ასე მაგალ. ბროშიურა „სასურსათო გადასახადის [...] ამ ცოტა ხნის განმავლობაში გამოიცემა ლენინის სამი ბროშიურა: „უკანასკნელი წერილები", „გლეხობის შესახებ", „ქალთა საკითხის შესახებ".

ამასთან ერთად მზადდება დასაბეჭდათ ლენინის თხზულებათა სრული კრებული. პირველ რიგში დაიბეჭდება ლენინის ნაწერების მე-18 ტომის ორივე ნაწილი, შემდეგ მე-14 ტომი (1 და 2 ნაწილი), მე-15 ტ., მე-16-ტი და მე-17 ტი ტომები, ამის შემდეგ გამოიცემა სხვა ტომებიც. პირველი ორი ტომი ამ ახლო ხანში მზად იქნება დასაბეჭდათ.

ჩვენ მივაქცევთ რა სახელგამის და პოლიგრაფკავშირის ყურადღებას ლენინის ქართულათ გამოცემის დიდ საჭიროებაზე, ვფიქრობთ, რომ მათი მხრივ იქნება მიღებული ყოველგვარი ზომები ზევით აღნიშნული წიგნების სწრაფათ და ლამაზათ გამოცემისათვის. ამის იმედს გვაძლევს ამ ორგანიზაციების მონაწილეობა ამ დიდი ამოცანის განხორციელების საქმეში.

ძ.

# პარტიაში ახალი წევრების მიღება

### წინასწარი შედეგები

პარტიაში ახალი წევრების მიღება გრძელდება. პარტიაში მიღებულია უკვე 1700 მუშა. პარტიაში ახალი წევრების მიღების დაწყებამდი ჩვენს თბილისის ორგანიზაციაში მუშები 59 პროც. შეადგენენ დღეს კი მუშები შეადგენდენ. 75,2 პროც. ახალი წევრების მიღების კამპანიის დასრულებისათვის ალბათ ეს პროცენტი 80 დი გაიზრდება.

**ჩვენ ამოცანათ უნდა დავისახოთ თბილისის ორგანიზაციაში მუშების რიცხვის 90 პროც გადიდება.**

ახალი წევრების—მუშების მიღების გაგრძელება, ორგანიზაციის გაწმენდა არაპროლეტარულ, არა კომუნისტურ ელემენტებიდან გაწმენდა, საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ ეს ამოცანა.

ჩვენ დავამუშავეთ ცნობები პარტიაში ახლად მიღებულ 1658 ამხანაგის შესახებ.

ამ რიცხვიდან: მამაკაცი – 1565, დედაკაცი—93.

**ნაციონალური შემადგენლობით:** ქართველი—611, სომეხი—500, რუსი—393, თურქი—21, სხვა ეროვნებ.—138.

**გამოსულები სხვა პარტიებიდან:** მენშევიკები—179, მენშევიკი-ინტერნაციონალისტები—8, სოც.-რევოლიუციონერები—3, სოც.-ფედერალისტი—1, სხვა პარტიებიდან—12, სულ—2 3 (10,7 პროც.).

**ხნოვანობით:** 24 წლამდი—329, 25 დან 34 წლამდი—747, 35 და—44 წ. დი —452, 45 სა და უფროსი—130.

დიდი უმრავლესობა კვალიფიციური მუშებია ეს წინასწარი შედეგები გვიჩვენებიან, რომ საქართველოს კომპარტია თბილისის ორგანიზაციის სახით იქნს მძლავრ ბაზას პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური მშენებლობისათვის.

**ორგანიზაციაში არის 5000 წევრი და ამათგან 80 პროც. მუშებია.**

ჩვენს ორგანიზაციაში მუშების რიცხვის ზრდა ბევრათ ასწევს პროლეტარული შემადგენლობის პროცენტს მთელს საქართველოს კომპარტიაში. თბილისის კომიტეტის მიერ წამოყენებული ლოზუნგი—3000 მუშა დაზგიდან, ახლო ხანში გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში.

მეორე მხრით პარტიის მომავალმა გაწმენდამ ენერგიულად უნდა შეუწყოს ხელი ჩვენი ორგანიზაციის შემადგენლობის გაუმჯობესებას, როგორც ხარისხის მხრივ, ისე სოციალურად.

რუბენ.

# პარტიის არაპროლეტარული ნაწილის გადასინჯვა

რ. კ. პ. მეცამეტე კონფერენციამ, როგორც ვიცით, დაადგინა მიიღოს პარტიაში პროლეტარულ ელემენტებიდან არა ნაკლებ 100.000 წევრისა. ამის მიხედვით საქართველოს კომპარტიის წევრების რიცხვი უნდა გადიდდეს 4000 წევრით. იმ ცნობების თანახმად, რომლებიც რ. კ. პ. ცეკას და ს. კ. პ. ცეკას მოეპოვებათ, აშკარა ხდება, რომ ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩვენ მივ ღებთ თითქმის ორჯერ მეტ რიცხვს ახლად ჩ წერილებისას, ვინემ ამას მოველოდით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი კვალიფიციური პროლეტარული ფენების შემოსვლას ჩვენს პარტიაში. ის დიდდება რიცხვობრივად და თვისებრივ დაჰლდიდრდება ახალი, ცხოველმყოფელი ნაკადით, რისი შედეგი იქნება პარტიის უფრო გაჯანმრთელება, განმტკიცება მისი ავტორიტეტის მშრომელთა თვალში.

ამ ზომასთან ერთად უმაღლესი პარტიული ორგანოები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია „გაირიცხოს პარტიიდან ყველა არაპროლეტარული ელემენტები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში პარტიამ ვერ შეითვისა, მისთვის დარჩნენ სრულიად უცხო ელემენტებად ან და შეიქმნენ ასეთებად იმ გარემოების გამო, რომ ან ეკ. პოლიტიკის მაცდურებას ვერარ გაუძლეს, მიიღეს რა პარტიული ბილეთი, დამშვიდდენ, გაერთენ „ობივატელურ" ინტერესებით, მოსწყდენ პარტიას, პარტიულ მუშაობას და მთელ მუშათა მასსას". ერთი სიტყვით, ამ გადასინჯვას მიზნად აქვს პარტიის გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან, ისეთ ელემენტებისაგან, რომლებიც პარტიისათვის სოციალურად უცხოა და ფაქტიურათ ჩამოშორდენ მას.

საკონტროლო კომისიის მუშაობა ამას უკვე ამტკიცებს. ჩვენს პარტიაში კიდევ დარჩენ ისეთი ელემენტები, რომლებსაც საერთო არაფერი არ ჰქონდათ და არც აქვთ პარტიასთან და არც მის ეთიკასთან, ხოლო ემსახურებიან მას მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისარგებლონ წარჩინებული ადგილებით ან ყველა იმ უპირატესობებით, რომლებსაც იძლევა პარტიის წევრების საპატიო სახელწოდება. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, ჩვენს პარტიაში კიდევ მოიპოვებიან ცალკცალკე ისეთი პიროვნებები, რომლებსაც ძალიან ადვილად დაავიწყდებით პარტიული მოვალეობა და პარტიის ეთიკა, რომელთა დაცვას ყველას თანასწორად აკისრებს პარტიის წევრობა—დავიწყებით ყოველივე ეს, ადვილად დამორჩილებიან ახალი ბურჟუაზიის გავლენას და გაუბამთ მთელი ქსელი ასეთ ბურჟუაზიულ ელემენტებთან.

მოსკოვში გადამსინჯავ კომისიის მუშაობამ უკვე აშკარა ჰყო, თუ რა დიდებითი შედეგები მოიტანა ასეთმა „ქირურგიამ", რომლის შემდეგ გამოჯანმრთელების აშკარა ნიშნები ყველასთვის თვალსაჩინო გახდა. აქვე საჭიროთ მივაჩნია აღვნიშნოთ, რომ მომავალი გადასინჯვა სრულიად არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ამხანაგის ამა თუ იმ პოზიციასთან, რომელიც მას ეჭირა უკვე ჩატარებულ დისკუსიებში. ამ გადასინჯვის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ჩამოჰრას პარტიას ის ნაწილი ამხანაგებისა, რომლებსაც სოციალური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ იმუშაონ პროლეტარულ პარტიაში, რომ ამ გზით პარტიული მუშაობა როგორც უჯრედებში, ისე ამა თუ იმ ორგანიზაციაში სათანადო სიმაღლეზე დადგეს.

ამასთან ერთად მომავალ გადასინჯვას, გარდა წმინდის მიზნებისა, აქვს კიდევ სხვა ამოცანაც, რომელიც მდგომარეობს ამა თუ იმ ორგანიზაციის ან წევრის დ ფექტის შესწავლაში და მის გასწორებაში. კომისია მიზნად ისახავს დაწვრილებით გაეცნოს ყველა იმ უარყოფითი მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვს უჯრედებში, როგორც მაგ. კინკლაობა, პარტ. დისციპლინის დარღვევა, პარტ მოვალეობის შეუსრულებლობა

როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, მრავალია შემთხვევები, როდესაც პარტიული დისციპლინა ირღვევა ამა თუ იმ ამხანაგის მიერ.

არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენათ ის გარემოება, რომ ამხანაგები როგორღაც თავის თავს არ თვლიან ვალდებულად დისციპლინის დარღვევის ასეთი ფაქტები აცნობონ ც. ს. კ. და უცდიან მხოლოდ წმენდას. ამ ვე დროს კი ავიწყდებათ, რომ წმენდა ერთდროული საქმეა და რომ დასახელებულ მოვლენებთან ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო; ამ ბრძოლას კი აწარმოებს ც. ს. კ., რომლის ყოველდღიური მუშაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ნაყოფიერი იყოს, როდესაც ამხანა-

# ლენინის რაიონის პარტ-კონფერენცია

### კონფერენციის გახსნა

ოთხშაბათს, 16 აპრილს საღამოს 6 საათზე, ნაძალადევის პლეხანოვის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა ლენინის რაიონის პარტკონფერენცია.

კონფერენციას დაესწრო დაახლოვებით 250 დელეგატი.

კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: გოლდბაუმი, ზაქრაძე და ქავთარაძე.

დღის წესრიგშია: 1) რუსეთის კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმის შედეგები, 2) საქართველოს კომპარტიის რაიკომის განცხადება პარტიაში ახალი წევრების მისაღებათ კამპანიის ჩატარების შესახებ, 3) საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში, 4) საქ. კომპარტიის საერთო საქალაქო კონფერენციის დელეგატების არჩევა.

**რუსეთის კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგები**

**(ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება)**

რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმის მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეჭირა საკითხს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მთავარი საკითხი ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების საკითხი.

გააცნო რა კონფერენციამ იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც გვიყენებს ჩვენ ბურჟუაზიული ინგლისი (ძველი მეფის და დროებით მთავრობის სამხედრო ვალები, ინგლისის ქვეშევრდომ კერძო აწარმოებელთათვის რევოლიუციის დროს ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურება და სხვ) მომხსენებელმა განაცხადა, რომ პლენუმმა ამ საკითხში დირექტივები მისცა ჩვენს დელეგაციას მტკიცეთ დაიცვას ურთიერთშორის ანგარიშების გასწორების მოთხოვნილება.

მომხმარებელ კოოპერაციის და შინაურ ვაჭრობის საკითხზე პლენუმმა წინადადება მისცა კოოპერატიულ ორგანიზაციებს თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ კოოპერაციის დაბალ საფეხურზე მდგრამ იაჩეიკებზე, რომლებიც უნდა იყონ ტრესტების და სინდიკატების საქონლის გამანაწილებელნი, საჭიროთ იქნა აღიარებული გატარდეს კოოპერაციაში თავისუფალი ვაჭრობა და სახელმწიფო და წესებულებათა მიერ კოოპერაციისათვის გრძელვადიან სესხის მიცემა. შინაურ ვაჭრობის დარგში პლენუმმა გამოიმუშავა დირექტივა განგრძობილ იქნეს ბაზრის ფასების დაწევა და საკითხი ჩაითვალა რუსეთის კომპარტიის 13 ე ყრილობაზე დასმულ იქნას საკითხი შინაურ ვაჭრობის კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

შემდეგ მიღებულ იქნა დადაწყვეტილებანი პარტიის მუშაობის შესახებ სოფლად და მოსმენილ იქნა ამ. ზინოვიევის მოხსენება საზღვარგარეთულ კომუნისტურ ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ, რომელთა გავლენა მუშათა ორგანიზაციებში იზრდება, რასაც ამტკიცებს საპარლამენტო დაწესებულებებში არჩევნების შედეგები.

**განცხადება პარტიაში ახალი წევრების მიღების შესახებ**

პარტიაში ახალ წევრების მიღების შესახებ ამხ. გოლდბაუმი აცხადებს, რომ ერთ ნახევარ თვის განმავლობაში ლენინის რაიონში მიღებულია პარტიაში 612 მუშა, ხოლო სულ შემოტანილია 1100 განცხადება. მიღება სწარმოებს მთავარ წარმოებებში: რკინის გზის მთავარი სახელოსნოები, სადაც მიღებულია 315 მუშა, დეპო (159 მუშა), ავჭალის წყალსადენი (23 მუშა), ზაჰესი—(26) და სხვ.

### მეორე სხდომა

ხუთშაბათს, 17 აპრილს, საღამოს 6 საათზე შესდგა ლენინის რაიონის კომუნისტური პარტიის კონფერენციის მეორე სხდომა.

კონფერენციამ ამხ. კახიანის მიერ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელსაც აწარმოებდა საქართ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ანტი-საბჭოთა პარტიებთან და კომპარტიის არაპროლეტარულ ნაწილში მომხდარ წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრასთან ბრძოლის სფეროში, და აგრეთვე დიდი მიღწევები პარტიულ პროფესიონალურ, საბჭოთა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო დაწესებულებებში საპასუხისმგებლო ადგილებზე მუშების წამოყენების საქმეში, რის შემდეგაც გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს. ამასთანავე კონფერენციამ წინადადება მისცა ტფილისის კომიტეტს მომავალ შემადგენლობას, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამოქალაქო, სატრანსპორტო და სამომხმარებლო კოოპერაციას.

**კომპარტიის თბილისის საერთო საქალაქო კონფერენციაზე დასასწრებლათ ლენინის რაიონის პარტკონ**ფერენციამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: ორჯონიკიძე, გოლდბაუმი, ლ. ქავთარაძე, კოჩეტკოვი, ფ. ნ კულაია, მიხა ცხაკაია, კვანიძე, [...] მოვი, შილდიაევი, ჩაევი, ზაქრაძე, ლაშქარაშვილი, ა. ბარსეგოვი, მ. კახიანი, კაჩაევი, გოგელაძე, ლ. ლოლობერიძე, ფილიპოვი, ბოჭორიძე, რუბენი, პოლიაკოვი, სტრელცოვი, ლ. ლომიძე, ვაშაკიძე, მ მახარაძე, ნ. სარქისოვი, ბელაშვილი, გ. ქავთარაძე, იასაშვილი, ჩერქეზიშვილი, მ. ბარსეგოვი, პრუსეცკი, მაკაროვი, არზუმანაშვილი, ვოლსკი, გალბახერი, საბაშვილი, ტოპურიძე, ხუბულური, ჯიოევი, გელაშვილი, კოვალევი, მოროსალოვი, პერენკო, განეშანი, ქ ჯაია, მთავერილიძე, ფარცხალაძე, თავდგირიძე, ზაკტოლბდინი, შალვა ელიავა, მოჭრილაძე, მირიმანოვი, ცინცაძე, ნადირაშვილი, გასპელიანი, სულავა, გიგინეიშვილი, ზალიანი, კალანდია, შიშინაშვილი, ფარცხლავა, იმანიშვილი, გოგცაძე, დვინსკი, ჯაბიაშვილი, გაგოლაევი, ნემსაძე, სარიევი, შაკოვსკი, კვიტინი, ინაური, კოპლიანიშვილი, ცსაიაშვილი და ჭანიშვილი.

კანდიდატებათ: ალმაზოვი, მოროზოვი, ქურქულაძე, გურგენიძე, პანკევიჩი და სიდოროვი.

კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

შ. ბ.

# არსენალის რაიონის პარტკონფერენცია

16 აპრილს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლის შენობაში გაიხსნა არსენალის რაიონის პარტკონფერენცია.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1) თბილისის კომიტეტის ანგარიში, 2) დელეგატების არჩევნები ქალაქს პარტკონფერენციაზე, 3) მიმდინარე საქმეები. პრეზიდიუმში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: ამხ. მასხულია, ივანოვ კავკასკი, მარგიშვილი, მაშკევიჩი, ბასილია, სოგომონიანცი და ელოშვილი.

მდივნად ჯანიბახჩიევი.

პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა თბ. კომიტ. მდივანმა ამხ. რუბენმა.

მოისმინა რა ამხ რუბენის მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ წასული წლის განმავლობაში, არსენალის რაიონის მეექვსე პარტკონფერენცია აღიარებს, რომ:

1) თბილისის კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სავსებით სწორია და საორგანიზაციო მუშაობა დამაკმაყოფილებელი.

2) ამავე დროს პარტკონფერენცია ავალებს თავის დელეგატებს ქალაქის კონფერენციაზე მოითხოვონ გაძლიერებული ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ გადახრის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს პარტიის მთლიანობას პარტიის შიგნით და აგრეთვე მიღებულ იქნას ზომები საქართველოს კომპარტიის უცხო—არაკომუნისტურ ელემენტებისაგან გასაწმენდათ.

თბილისის ორგანიზაციის კონფერენციაზე არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: გაგნიძე ლადო, ვართანიანი გურგენი, მარგიშვილი პეტრე, ქურაშვილი ივანე, არხამ. ნ ერიტოვ კარაპეტი, ივ ნოვ-კავკასკი კლ., ბასილია ნ ნა, შახნაზაროვი დამიტრი, მასხულია სევერიანე, სუვ რნ ვა ზინაიდა, ნაზაროვი მიხეილ ვართანოვ ექ., ლომინაძე, იტრიევი, მელიქ პავლე, კუბუხაშვილი, მ. შკევიჩი მოსე, ბოჭორიშვილი ს., მაკაროვი, ქელიძე მზარეულაშვილი კ. ჯანიბახჩიევი პეტროსიან, ტერ-ავეტიკოვი, ლევშინ ბორის, კალმახელიძე, კოგან მირონ, ჩიხლაძე, მიხაილოვა ე., ტოგონიძე კანდელაკი, აივაზოვი, ქელიძე ილიკო ნაზაროვი ა, მოსპან, ყურულოვი, კირკველიძე, როტინოვი, ბერუაშვილი ორახელაშვილი მამია, ფრიდონოვი ფრიდონ, გულუსტოვ გაიკ, ვოლთეოდორე, ბარხუდაროვი, სალაძე ელოშვილი, მარჯანიშვილი, ოგაბოვი, ხაჩიკიან, დანკო, თარხ ნოვ სალაყაია, ხუციშვილი, ხანდიევი სოგომონიანი, დოლიძე, კუდრიაშოვი ნოვიკოვი, კამალოვა, სერგეევი მ., ხეილ, სააკოვი, გასპაროვი, თარხნიშვილი ვი, ოდილავაძე მ., ჩხეიძე, თხილავაძე ბიბინეიშვილი, გავრიშ, მედრაბიშვილი არტ., მამულაიშვილი, სუკიასოვი.

კანდიდატებად: ფიდორენკო ვართანოვა ექ., ბერიძე ალექსანდრე, რევაზ ერმალოვ, ბეზუშვილი, ტიგ[...]შვილი.

[illegible]

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენი კოოპერატივები ვერ დგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე

(პროფკავშირთა საბჭოს და საქ. მუშ. უმ. საბჭოს საყურადღებოდ)

საშუალო კოოპერაციის მიზანია მიაწოდოს მუშებს და გლეხებს, თავის წევრებს პირველ-მოთხოვნილების, საღი საქონელი ხელმისაწვდომ ფასებში; ამავე დროს კოოპერაცია უწევს კონკურენციას კერძო ბაზარს, კერძო ვაჭრობას, კერძო კაპიტალს.

იმსახურებს თუ არა დღევანდელი კოოპერაცია, ასრულებს თუ არა კოოპერატიულ პრინციპებს, აკმაყოფილებს თუ არა თავის წევრებს, მუშებს და გლეხებს?—ვერა.

არსებული კოოპერაცია სდგას მოლიპულ გზაზე; ის იდგა ყოფილ ხელისუფლების დროს ამ გზაზე და არის ახლაც ამ მდგომარეობაში.

ჩვენ კოოპერატივებს ძლიერ გადაჭარბებული და გაბერილი აქვთ ფასები, მოგებისათვის და ის არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ის ვერ ასრულებს თავის მიზნებს. კოოპერატივებში ვერ ვხედავთ პირველ მოთხოვნილების საგნებს როგორც ნავთი, ტილო, ჩითი და სხვ. არ არის საღი საქონელი და საქონლის ფასი არ განსხვავდება ბაზრის ფასებისაგან.

კოოპერაციას კერძო ვაჭრობა თვითონ უწევს კონკურენციას და თითქმის ძლევს თავის ქვეშ და ბრძანებლობს მასზე.

კოოპერაცია უნდა გაჯანსაღდეს, მიაწოდოს თავის წევრებს ხელმისაწვდომ ფასებში საღი და საჭირო საქონელი; იგი უნდა უწევდეს მეტოქეობას კერძო ბაზარს, კერძო კაპიტალს, წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერაციას ეკარგება თავისი დიადი მნიშვნელობა, და ეს მოვლენა სამწუხაროა, ვინაიდან კოოპერაცია ერთი უდიდესი ფაქტორია სოციალისტური წყობილებისა და ეკონომიური მუშურ სახელმწიფოს გაძლიერებისა. დაუყოვნებლივ საჭიროა ზომების მიღება მისი გადახალისებაგაჯანსაღებისთვის.

მუშკორი ათანასე განიძე

## მასწავლებლები ასეთი უნდა

7 აპრილს პლეხანოვის თეატრში მეექვსე შრომის სკოლის მიერ გამართული იქნა საღამო შემდეგი პროგრამით: საბავშვო პიესა 3 მოქ. „ქათის დანაშაული", საბავშვო ოპერა „ოქროს თევზი" და თავისუფალი ნაწილი. ყველა ნომერი კარგად იქნენ შესრულებული. შემოსული ფულით განზრახულია შეიძინ ამ სკოლისთვის ფიზიკური კაბინეტი, რაც აუცილებლად საჭიროა.

ამ საღამოს მოწყობაში მასწავლებლებს დიდი შრომა და ენერგია დახარჯეს მოუხედავად, მაგრამ იციან თავიც, რომ მათი შრომა ტყუილად არ იკარგება, ამიტომ ალტაცებით ასრულებენ ყოველგვარ საჭირო სამუშაოს.

მადლობა ასეთ პედაგოგებს, რომელიც ახალი თაობის აღზრდისთვის და აყვავებისთვის არავითარ ენერგიას არ იშურებენ.

მუშკორი ცეკო.

## ქალაქის აბანოების მუშების უბინაობა

(ქალ. აღმასკომის და საბინაო კოოპერატივის საყურადღებოდ)

თბილისის კომუნალურ აბანოების მუშათა 50 პროცენტი უბინაოდაა. დიდი ხანია, რაც ამ მხრით ისინი გაჭირვებას განიცდიან. ზოგი სრულებით უბინაოდაა, ზოგიც უვარგის, ნესტიან ბინებზე სცხოვრობენ.

დღე არ გაივლის, რომ უამრავი განცხადებანი არ შემოვიდეს ამავე მუშების ადგილკომში ბინების შესახებ. ადგილკომი რაც შეიძლება ცდილობს მათი ბინების მხრით დაკმაყოფილებაზე კავშირიც საკმაოდ ზრუნავს, მაგრამ გამოსავალი ჯერ არავის მოუპოვებია და ისევ ძველი მდგომარეობა უცვლელად რჩება. კარგა ხანია, რაც სათანადო კავშირმა აბანოს მუშებისათვის საერთო საცხოვრებელ ბინად აიღო თავის ანგარიშზე ყოფილი ვორონცოვის ქუჩაზე სახლი № 57.

ამ სახლში ცხოვრობენ ყოფილი მოქალაქენი, სპარსეთიდან და სხვანი აღმოჩნდნენ და მათ სახლი ვერ დააცლევინეს.

ამიტომ აღნიშნულ სახლში აბანოს მხოლოდ 4—5 მუშა ჩაასახლეს. დანარჩენების 50 პროცენტი ისევ და ისევ უბინაოდ გაჭირვებული არიან.

აქაური მუშების ბავშვები ნესტიან და ანტიჰიგიენურ ბინებზე ცხოვრების გამო გაყვითლებული და დაავადმყოფებული არიან. იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ დამხმარე კასას უფრო იაფი დაუჯდება აქაურ მუშებისათვის დაიქირაოს საცხოვრებლად გამოსადეგი ბინა, ვიდრე მას ეხარჯება ამავე უვარგის ბინებზე ცხოვრებით გამოწვეულ ავადმყოფებზე.

ერთი სიტყვით, ზომაზე მეტი გაჭირვებაა აქ ამ მხრივ და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოხსენებულ გარემოების დასამტკიცებლად შესდგეს მუშათა ორგანიზაციებიდან და საბინაო კოოპერატივიდან კომისია, რომელიც ადგილობრივად გამოარკვევს თითოეული მუშის მდგომარეობას ამ მხრით და მიიღებს შესაფერ ზომებს.

მუშკორი ბზოვდი.

## წითელი სასადილოს გახსნა ორთაჭალის მუშებისათვის

1924 წ. 12 აპრილს მნიშვნელოვანი დღე იყო თბილისის მუშათა ცხოვრებაში. საერთოდ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რათა გაიხსნას დაწესებულებები, რომელნიც იქნებიან მატარებელნი საზოგადოებრივი ხასიათისა, სადაც მოიგება და ზარალიც საერთო იქნება და მიიღებს ყველა მუშა საჭმელ-სასმელს სუფთას, რიგიანს და ხელსაყრელ ფასებში, სადაც მუშას არავინ წაართმევს, რომ ჯიბე უცებ გამოფხალოს და ოჯახში ყოფნი მიაჩოვებინოს მშიერ მწყურვალნი და „ღვთის ანაბარა".

12 აპრილს, ორთაჭალის რაიონის მუშებმა თავი მოუყარეს წითელ სასადილოსთან მიტინგი გახსნილად გამოაცხადა ამხანაგმა ტრადატიანმა. ილაპარაკეს მუშკოოპის გამგეობის წევრებმა ამხ. ქდანოვმა და სხვ.

აგრეთვე მესამე რაკომის სახელით ილაპარაკა ამხ. ვართაპეტიანმა, ამხ. ესინმა, ქალთა განყოფილებიდან „კარლ მარქსის" სახელობის ზეთის-სახდელ ქარხნის მუშების მხრიდან ამხანაგმა ხვიჩიამ და „ლენინის" სახელობის ტყავის ქარხნის მუშების მხრიდან ამხანაგმა ტრადატიანმა.

ერთმა მუშამ ლექსიც წაიკითხა და გამოიწვია მხიარულება და მხურვალე ტაში მუშებში. უკრავდა სამხედრო მუსიკა.

მოხსენების შემდეგ დაიწყო სადილი და მაიარულება.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

## მუშათა ცენტრალურ კლუბში

5 აპრილს, მუშათა ცენტრალურ კლუბში, სახელმწიფო საოპერო დასის მიერ დადგმული იქნა მხიარული ოპერეტა „ქეთო და კოტე" წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ხალხი საკმაოდ დაესწრო. ყველაც კმაყოფილი დარჩენ. წარმოდგენა გათავდა სრულ 11 საათზედ. უნდა ითქვას, რომ წრეულს მუშათა კლუბს დიდი გამოცოცხლება ეტყობა. აქ ხალხი სამ (ქართულ, რუსულ და სომხურ) ენაზე ისმენს და იძენს სულიერ საზრდოს. დიდი მადლობის ღირსია პროფესიონალური კავშირის გამგეობა, რომელიც არავითარ ნივთიერ საშუალებას არ ზოგავს ამ კლუბის სრულ თავის სიმაღლეზე დაყენებისათვის.

მუშკორი—ზარბი.

## მისაბაძი მაგალითი

ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა მეომართა № 8 სახლში, (პლეხანოვის ქ № 139) არსებობს სამკითხველო. სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო კურსები. ინვალიდებს მოსდით უფასოდ ჟურნალ-გაზეთები, კინო და თეატრების ბილეთები „პოლიტ-განათლებიდან".

აგრეთვე ჰყავთ ადგილობრივი ინვალიდებისაგან შემდგარი „კულტ-განათლების" კომისია. აწარმოებენ კვირაში ორჯერ მოხსენებებს სხვადასხვა თემებზედ. ცდილობენ ყოველგვარ ნაკლის გამოსწორებაზე და ინვალიდების ცხოვრებაში განათლების შეტანას.

რადგანაც სამკითხველო ქართული წიგნების მხრივ დიდ ნაკლს განიცდიდა, ამისათვის კომისიამ შემოიღო ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომ ამ მხრით დახმარება აღმოეჩინათ, რაც დაკმაყოფილებული იქნა.

მათ გამოუგზავნეს 53—ც. სხვადასხვა ძველი და ახალი პოეტების ნაწარმოებები, წიგნები—19 მანეთის ღირებულებისა, რასაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ინვალიდები.

მასთან ღრმის მადლობას უცხადებთ მე-21 სამხედრო კურსების სასწავლებლის სამკითხველოს გამგესაც ასეთი საყურადღებო დახმარებისათვის.

ინვალიდი ა. მ. წ.

## ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში

(ტყავ. ტრესტის ფაბრიკებთან).

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ)

ა. წ. 18 აპრილს, მე 8 რაიონის კომკავშირთა წევრების მიერ იქნა გამართული ინტერნაციონალური დიდი საღამო, რომლის შემოსავალი გადაიდო კომკავშირის უმუშევართა სასარგებლოთ. ამ საღამოს სცენიურ ერთმა ნაწილმა დიდათ შემაფიქრიანა, რომელზედაც გაჩუმება არ შემიძლიან. „კომკავშირის" წევრების მიერ იქნა წარმოდგენილი ქართულ ენაზედ ერთ მოქმედებიანი პიესა.

„სცენა პარტიაში" შ. ტალიკაძისა თვით ამ პიესის ხელმძღვანელი თვითონ ავტორი ბრძანდებოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენ თუ ამნაირი დაბნეულ პიესებით მოვამზადეთ მომავალი ახალგაზრდობა დიდი სისულელე იქნება ჩვენს მხრით. ეს პიესა თუ რა შინაარსს შეიცავს ამაზედ ლაპარაკი და წერაც მეტად მიმაჩნია: პიესა ყოველ მხრივ სუსტია და ყოვლად უშინაარსო. რაც შეეხება სცენიურ მხარეს აქაც უნდა ითქვას, რომ ამხ, შ. ტალიკაძეს მხრივ დიდი შეცდომაა დაშვებული. აქაც არ არის დაცული არც სტილი და არც გემოვნება ხელოვნების საჭიროა, მომავალში მაინც არ ექნეს ადგილი მუშათა კლუბებში ასეთ წარმოდგენებს და დადგმასაც.

მუშკორი გ. მ—შვილი

## მუშის ლექსიკონი.

(უცხო სიტყვათა ახსნ.)

რესტავრაცია—(ლათ. სიტყვა) და ნიშნავს—აღდგენას, განახლებას, ყველა უფლებათა და პრივილეგიების (უპირატესობათა) დაბრუნებას.

პოზიცია—(ლათ სიტყვა)—მდგომარეობა, მეომართა მიერ დაჭერილ-გამაგრებული ადგილ მდებარეობა, დადგენილება, მტკიცება, განწყობილება.

ოპოზიცია (ლათ. სიტყვა)—არსებულ წესწყობილების, მთავრობის ან გაბატონებული პარტიისთვის წინააღმდეგობა.

კონტაქტი—(ლათინ. სიტყვა)—შეხება, ვისმესთან დაახლოვება, მონათესაობა, შეთანხმება შეთანხმებული მოქმედება-მონაწილეობა რამეში.

ხაოსი—(ბერძნული სიტყვა)—შეურიგებელი, შეუკავებელი, დაუმორჩილებელი, უაზრო ბრმა—ბუნებრივი მოვლენა, (როგორიცაა მაგ. წყალდიდობა, გვალვა, შიმშილი, საყოველთაო სენი, ავადმყოფობა, მიწისძვრა, ვულკანის ამოხეთქვა და სხ).

მეთოდი—(ბერძნული სიტყვა)—აზროვნება მოქმედების, ან რაიმე საგნის გამორკვევა—შესასწავლი წესი, რაიმე მოქმედების გეგმა გზაკვალი.

კომენტარია—(ლათ. სიტყვა) ნიშნავს სამახსოვრო წიგნაკს, სადაც აღნიშნება სხვადასხვაგვარი ღირსშესანიშნავი გარემოება მოვლენების; ახსნა-განმარტება რომელიმე თხზულების მთლიანად, ან ნაწილობრივ და სხ.

ნიკურ მხარეების მოწყობა-მოგვარებას.

ყრილობები ჩატარებულ იქნა რაიონში შემავალ სამივე თემებში, საჭამიასერში, კოხნარში და ზემოხეთში, რომლებზედაც სათანადო მოხსენებებით გამოდიოდა ამხ. გ. ქუნტი. თემებში მოწყობილ ყრილობებზე გლეხობა აღტაცებით ხვდებოდა მომხსენებელ სიტყვებს. მომხსენებლის თქმით ნათელი ხდებოდა, რომ კონფერენციის დანიშნულებაა შექმნას მტკიცე კავშირი გლეხობასა და ქალაქის მუშებ შორის, განმტკიცოს რწმენა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა; ამიტომ საჭიროა გლეხობა გაეცნოს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას, რომ მასში ნიადაგი არ ექნეს, იმ ათასგვარ რადიო ჭორებს და პროვოკაციებს, რომელთაც მრავლად სთესენ ყოველი ჯურის მტრები საბჭოთა ხელისუფლებისა.

ამავე თემების ყრილობებზე გლეხობის მიერ არჩეულ იქნენ დელეგატები სარაიონო კონფერენციისათვის.

ეს უკანასკნელი შესდგა 6 აპრილს რაიონის ცენტრში. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სამივე თემებიდან ორასამდე დელეგატი. დაესწრო მრავალი არა დელეგატი გლეხებიც კონფერენცია გაიხსნა დილის 12 საათზე რაიკომის მდივნის ამხ. ზაქარიაშვილის მიერ, რომელმაც უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. მისივე წინადადებით ყრილობამ აირჩია ცხრა კაციანი შემდგარი პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმის სახელით ამხ. ა. ზაქარიაშვილი აცნობს ყრილობას შემდეგ დღის წესრიგს; 1. სარაიონო აღმასკომის ანგარიში; 2. საბჭოთა აღმშენებლობა; 3. გლეხობა რევოლუციაში; 4. არჩევნები დელეგატებისა სამაზრო კონფერენციისათვის.

რაიონული აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარე ა. კოტრიკაძემ, რომელმაც გაარკვია დელეგატებს ის აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც ჩაატარა აღმასკომმა თავის არსებობის სამი თვის განმავლობაში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა რაიონის ცენტრში საჭყვონის „ეპოსთან" შენობის და გზების გარემონტების შესახებ ერთი კრამიტის დასამზადებელი ქარხნისა და მისთვის საჭირო ბინების შენება აგებაში ხელის შეწყობას.

თანხმებით აგურისა და კრამიტის დასამზადებელი ქარხნებისა და მისთვის საჭირო ბინების შენება აგებაში ხელის შეწყობას.

გლეხობა ასეთების დიდ საჭიროებას განიცდიდა.

საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. ქუნტი. ის ვრცლად შეეხო საბჭოთა აღმშენებლობას. აღნიშნა ისეთი რთული მომენტები რესპუბლიკების არსებობის ხანაში, როდესაც შინაური და გარეშე კონტრრევოლუცია არ აძლევდა საშუალებას ამ საქმეში რაიმე დიდი ნაბიჯების გადადგმისას.

ყველა ამაებს თავი დააღწია რესპუბლიკების კავშირის მუშებმა და გლეხებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით.

ილაპარაკა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე და შემდეგ მაკრატლის პრობლემაზე. დაასახელა ის ღონისძიებანი, რომელიც გაატარა ხელისუფლებამ ქალაქის ნაწარმოებისა ფასის დაწევის საქმეში, რამაც საგრძნობი შედეგები გამოიწვია და მაკრატლის პირები ერთი მეორეს დაუახლოვა. ვრცლად შეეხო ფულის რეფორმას. ილაპარაკა სხვადასხვა მიღწევებზე აღმშენებლობითი დარგში, როგორც მაგალითად, ოზურგეთის რკინის გზა, ელექტროსადგურები და სხვა.

გლეხობა რევოლუციაში, — ეს კითხვა სავსებით გააშუქა ყრილობაზე ყოფ მენშევიკმა ამხ. ბ. ჭუასელმა. მან განსაზღვრა გლეხობა, როგორც პროლეტარიატის მონათესავე კლასი. განმარტა მარქს ენგელსის შეხედულება გლეხობაზე ვრცლად შეეხო ქართველი გლეხობის წარსულს და მის დაკავშირებას ს. დ. პარტიასთან ილაპარაკა მენშევიკების ღალატზე მუშათა კლასისადმი 1914—1917 წლებში. შეეხო ოქტომბრის რევოლუციას და მენშევიკების მასთან დამოკიდებულებას, ამიერკავკასიისა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს და ამ საკითხში მენშევიზმის სრულ გაკოტრებას, როგორც იდეის, ისე ტაქტიკის სფეროში. გადაშალა საქართველოს „დამოუკიდებლობის" ხანაში წარმოებული პოლიტიკა, და ფაქტებით დაასაბუთა მისი უვარგისობა—მუშებსა და გლეხებთათვის. შეეხო საქართველოს გასაბჭოებას, როგორც ბუნებრივ და ისტორიულ აუცილებლობას. დაასაბუთა მენშევიკების არალეგალური მუშაობის სრული სიკოტრე და მისი შედეგი—მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაცია. მოუწოდა გლეხობას ზიზღისა და პროტესტის გამოცხადებისაკენ იმ ვაჟბატონებისადმი, რომელიც დღესაც ადგანან შიგნით ავანტიურასა და გარეთ ინტერვენციის გზას.

მოხსენებათა გამო ყრილობამ მიიღო შესაფერი რეზოლუციები.

ა. ზაქარი.

## დაბა აბაშა (სენაკის მაზრა)

უკვე ამ დაბაში არსებობს დიდიხნიდან, როგორც დაწყებითი, ისე საშუალო სასწავლებელი, ცხრა წლამდი და ტეხნიკუმი, ისინი, კერძოდ ტეხნიკუმი, ვერ არის შესაფერად მოწყობილი.

ტეხნიკუმს აღარ აქვს შესაფერი ბინა და ამიტომ დიდათ შეფერხებულია მეცადინეობა.

რა თქმა უნდა, ამ გარემოებას უყურადღებოთ ვერ დატოვებდა ადგილობრივი საზოგადოება და ტეხნიკუმის დაარსებისთანავე შეუდგა მისი მოწესრიგებას და შესაფერ ბინის მიჩენას. რადგან ისეთი შენობა, სადაც ტეხნიკუმის მოთავსება მოხერხდებოდა, ამ დაბაში ვერ აღმოჩნდა, ამიტომ შეუდგნენ ახალის აშენებას. მაგრამ სხვადასხვა ობიექტიური პირობების გამო ეს ცოტა ხერხებული აღმოჩნდა და დღემდი ეს საკითხი ისევ ღიად დარჩა.

ამჟამად კი უკვე ჩაყრილი იქნა ტეხნიკუმის შენობისათვის საძირკველი, მაგრამ მისი დამთავრების იმედი არ გვექნებოდა, რომ არ დაგვეხმარებოდა ცენტრალური მთავრობა, რომელიც ჩაება ამ საქმეში.

გვაქვს სრული გარანტია, რომ მალე მოახლოვდება ის დღე, როდესაც აბაშის მშრომელი ხალხი იდღესასწაულებს და ზეიმით შეხვდება ტეხნიკუმის ახალ ბინაში მეცადინეობის განახლებას.

თეატრი აქ ჯერ-ჯერობით ისევ უმწეო მდგომარეობაშია.

მასაც არ გააჩნია თავისი შესაფერი ბინა და დღეს თუ აქ არის ის მოთავსებული, ხვალ შეიძლება იქ მოთავსდეს, ზეგ კიდევ სხვაგან და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაშიაც დიდი ბრალი უდევს ობიექტიურ პირობებს, მაგრამ ადგილობრივი საზოგადოების ინიციატორებიც დამნაშავე არიან.

თითქმის რამოდენიმეჯერ და უფრო ადრე ვინმე ტეხნიკუმისთვის, შესდგა აქ თეატრის სააღმშენებლო კომისია, მაგრამ ვერაფერი გაკეთდა.

უკანასკნელად დიდათ შეგვაწუხა ხელი ხალხის გათვითცნობიერებამ და ეკლესიების გაუქმებამ, რომლის მასალები გამოსადეგი შეიქნა თეატრისათვის. ამიტომ სააღმშენებლო კომისიამ საფუძველიც ჩაუყარა თეატრს და გაიჩაღა მის ირგვლივ მუშაობა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა, როგორც დაიწყო ისეთივე წყდება მუშაობა, თუ კი ეს კომისია ენერგიულად არ მოეკიდა საქმეს და მასში არ ჩაება მთელი საზოგადოება.

ხალხი ამ დიად საქმეს გულგრილად არ შეხვდება, ყველანი გაიღებენ წვლილს; ხელს შეუწყობენ სხვადასხვა საგანგებოთ მოწყობილ საღამო-წარმოდგენებს და მოაგროვებენ საჭირო თანხასაც.

ხახო ქთიავა.

## სოფ. კონდოლი (სენაკის მაზრა)

ამას წინად ამ სოფელში გლეხთა კრებაზე ამხ. ცორა ფრანგიშვილმა გამართა გასაგები საუბარი მრავალ საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

სოფელში მოსაგვარებელი საქმეებიც დაწვრილებით აუწერეს გლეხებმა ზემოხსენებულ ამხანაგს, რომელიც დაჰპირდა, რომ ყოველივეს გადასცემდა სათანადო ორგანოებს.

გლეხობამ გამოსთქვა სურვილი, რომ ხშირად იმართებოდეს ასეთი საუბრები, რასაც მომავალში უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

ქოხ-სამკითხველო დაკეტილი იყო, ამხ. ფრანგიშვილმა გამოუწერა გაზეთები და სხვა ლიტერატურა თავის ხარჯზე.

გრ. კ—ია

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 2

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შემადგენლობით: ბანკის მმართველი—ამხ. ბიბინეიშვილი ბარონი, გამგეობის წევრები—ამხ. მენაბდე იასონი, დუმბაძე გრიგოლ და ანდრონიკაშვილი ივანე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარე შ. ე ლ ი ა ვ ა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ს ა ლ ა რ ი ძ ე.

1924 წ. აპრილის 18

ქ. თბილისი—სასახლე.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

— ოთხშაბათს, 21 აპრილს სასახლის წითელ დარბაზში, საღამოს 5 საათზე მოწვეულია თბილისის ორგანიზაციის (ქალაქის და მაზრის) პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები (ორახელაშვილი)

2 თბილისის კომიტეტის ანგარიში (კახიანი).

3 პროფესიონალური მორიგი ამოცანები (უურულოვი).

4 პარტიული მშენებლობა (რუხაძე)

5. კოოპერაცია და სახელმწ. ვაჭრობა (ერქომაიშვილი).

6 არჩევნები

წარმომადგენლობის ნორმა ყოველ 20 წევრზე—1.

არჩევნები სწარმოებს რაიონულ პარტკონფერენციებზე.

პარტიის ახალი წევრები იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. სამხედრო პარტ-ორგანიზაციები (ტფილისის გარნიზონი) მონაწილეობას იღებს კონფერენციაზე საერთო წესით.

კონფერენციაზე დასწრების მანდატი გაიცემა თბ. კომიტეტის სამდივნოში.

ბილეთები სტუმრებისათვის მხოლოდ რაიკომებში.

თბილ. კომიტ. მდივანი—რ უ ხ ა ძ ე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, შაბათს, 19 აპრილს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე რუსთაველის 22, დანიშნულია ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგ. მდივანი—გ. ს ტ უ რ უ ა.

ქალთა განყოფ. გამგე—მ ე ზ უ რ ნ ო ვ ა.

— საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს საკავშირო დისციპლინის წესით გამოცხადდნენ შაბათს, 19 აპრილს საქართ. ახალ.კომკავშირის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო განყოფილებაში.

მობილიზაციის წესით მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

1. ფვაზავა, 2. ძიგრაშვილი, 3. საგინაძე, 4. აროშიძე, 5. გოგუაძე, 6. ფილოვანი 7. გიორგაძე, 8. სიხარულიძე, 9. გვერიში. 10. რაბინოვიჩი, 11. ბობრიშჩევი, 12. ვართანიანი, 13. რ. ალამალიანი.

საქ. ახალ. კომკავშირის თბილ. კომიტ. მდივნის მოადგილე ა ლ ა ვ ე რ დ ო ვ ი

სააგიტაციო განყ. გამგე—ა. კ ე კ ე ლ ი ა.

— თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტში.

1. ოლიევი კირილე. 2. ბაზიევი, ალექსანდრე, 3. ბაიბურაშვილი სპირიდონ, 4 კუჩავა სტეფანე, 5. ტოროშელიძე მალაქია, 6 მახარაძე დავით, 7. კალაძე რაჟდენ, 8 კუჩუაშვილი მიხეილ.

თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-ამნაწილებელ განყოფილების გამგე რ ა ხ მ ა ნ ი.

— ახალქალაქის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 19 აპრილს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედების, მდივნების თანადასწრებით.

სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრების და კომუჯრედების მდივნების დასწრება.

მდივანი. მ ა ს ხ უ ლ ი ა.

— დღეს, შაბათს 19 აპრილს დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტ.—საპროპ. განყოფილებაში მოწვეულია 1 მაისის მომწყობი კომისიის გაფართოებული თათბირი.

დღის წესრიგი: 1. ქვეკომისიების. ანგარიშები 2. დღესასწაულის წესრიგის საბოლოოთ დამტკიცება. დასწრება სავალდებულოა შემდეგი პირთათვის: დგერიანსკის („პოლიტგრი") ჭილიძე (საქ. პროფ. კავშ. საბჭო), ბეჟანიკაშვილი (თბილისის პოლიტ განათლების სამმართველო) აბაშიძე (სახელმწ ფეოდ. ამშ ნ. კომის.). კეკელია (ახკომკავშირი) მამულაიშვილი (ქართ. დივიზიის პოლიტ. გ ნყ.), რახმან („სპარტაკი") ოკუჯავა (განათ. სახ კომისარ.). კოდრიაში (პროლეტ.-კულტი), პოკროვსკი (ხელოვნ მუშაკთა კავშ.), მარჯანიშვილი (მთავ. სამხატ. კომიტეტი) და გოგიტიძე, (სახ გრნო მრეწველ.) და აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ რაიკომების მდივნები და სააგ.—საპრ. განყ. გამგეები.

თბილისის კომ. სააგ. საპროპ. განყ. გამგე—მ. ე ს ს ე ნ ი.

## ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების მიტეტი

დამოწმებით და განმარტებით მის მიერ გამოცხადებულ მცენარეული ტყის ხიდის გადაკეთების გეგმის შეჯიბრებისა, შემოსულ [...] ბების გამო, ადასტურებს, რომ [...] ხელოვნურად და პარალელურად ორი ინჟინრის მიერ [...] ექტები, რომლებიც არ დააკმაყოფილებენ ამ [...] ლად მიღებული არ იქნებიან.

ზ. ჰესკომის თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. შ[...]

ნ. 1047. 2—1.

სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი შ-[...]

## ავტომობილების ყველა მეპატრონეებ[...]

როგორც: სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კერძო და უცხო[...] წესებულებები, და აგრეთვე კერძო პირებიც, რომელთა განკარ[...] იმყოფება მსუბუქი და საბარგო ავტომობილები და მოტოციკლეტ[...] დებული არიან გამოცხადდნენ რეგისტრაციაზე თბილისის აღმასკ[...] სავალი დუმბაძის ქუჩ დან, № 6) ყველა იმ დოკუმენტებით და ნ[...] რომლებიც მიცემული ჰქონდეთ მათ წინეთ თბილისის აღმასკომის [...] შემდეგი წესით:

1924 წ. 5 აპრილიდან 10 აპრილამდე დილის 7—11 საათამ[...] მისარიატები—1, 2 და 3

1924 წ. 10 აპრილიდან 18 აპრილამდე დილის 7—11 სა[...] კომისარიატები—4, 5, 6 და 7.

1924 წ. 14 აპრილიდან 19 აპრილამდე დილის 7—11 სა[...] კომისარიატები—8, 9, 10, 11 და 12,

1. იმ ავტომობილების და მოტოციკლეტების რეგისტრაცი[...] ლიც სამხედრო უწყებას ეკუთვნის, იწარმოებს 22 აპრილიდან 2[...] ლამდე დილის 7—11 საათამდე.

2 ყველა იმ მოტოციკლეტების რეგისტრაცია. რომელიც [...] პირებს ეკუთვნის, ცალკე იწარმოებს 25 აპრილიდან 28 აპრილამდ[...]

3. ავტომობილების და მოტოციკლეტების მეპატრონეებმა [...] დაიხადონ ხარკი 1924 წ. პირველი ნახევრისათვის შემდეგი რაოდ[...] მსუბუქ ავტომობილებზე და მოტოციკლეტებზე—2 მ 30 კ. თვით[...] ლაზე, საბარგო ავტომობილებზე—1 მან. თვითეულ ძალაზე და, [...] და, 7 მან. ზედმეტულ ხარჯების ანგარიში.

ის, ვინც თავის დროზე არ გამოცხადდება რეგისტრაციაზე, [...] მეშული იქნება თანახმად თბილისის აღმასკომის სავალდებულო [...] ლებისა ა. წ 15 მარტის თარიღით, № 18, და აგრეთვე აეკრძალ[...] ლაქში ავტომობილით მოგზაურობა.

ნ. 1048 1—1

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუ[...]


საყურადღებოთ: ახალოდ კოოპერატივებს, შრო[...] შირებს და დაწესებულებებს [...]

შეუძლიათ შეიძინონ: თეთრეული, ტანსა[...] მუშებისათვის და [...] ლათ გლეხთათვის „სპეცოდეჟდა" და „პროზოდეჟდა" ნისიათ[...] ხუთ თვის ვადით განუსაზღვრელ რაოდენობით.

ახალი ფასდაკლება

ტფილისი, რუსთაველის პრ. № 10 რუსთაველის თეატრის [...]

ქუთაისში: ბაკოფოვის შესახვ. ყოფილი საკრედ. ბანკის შენ[...]

„სინდიკატი პროფ[...]"

პროფკავშირის წევრებზე ინდივიდუალური კრედ[...]

ნ. 1044 4-[...]



## პურის იმპორტიორების საყურა[დღებოდ] ბაქო ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ეკონომიური ნაწილი [...] იმპორტიორების საყურადღებოთ, რომ ტარიფების კრებულიში № [...] 152 და სატარიფო კომისიის მიერ № 1250 და 1451 გამოქვეყნე[...] ბების თანახმად ბაქოს კომერციულ სააგენტოს საწყობები, რომლებ[...] ბაქოს—ნავთისადგურის და ბაქო—საქონლის სადგურის ტერიტორი[...] ყოფებიან, გამოცხადებულნი არიან შენახვის (ЗАВОЗНОЙ) საწყობებ[...]

პურის ტვირთები (ფქვილი, ქატო, ბურღული, ხორბალი) რო[...] ამ საწყობებში შემოდიან ჩრდილო კავკასიის ან საბჭოთა კავშირ[...] გზების სადგურებიდან, შეინახება შეღავათიან პირობებში ამ საწ[...] ფრახტის გადახდით ბაქომდე ან გადაუხდელათ. ამიერ-კავკასიაში [...] ნის დროს კი გავრცელდება ტარიფი მთელ მანძილზე გაგზავნის [...] სადგურიდან (პირველი ტვირთსაზიდი ფურცლით ბაქომდე) დანიშ[...] უკანასკნელ სადგურამდე (მეორე ტვირთსაზიდი ფურცლით ბაქოდ[...] საშუალებაა აგრეთვე ბაქოში შემოტანა ხორბლის და ბურღულის გად[...] ვად კომერციულ სააგენტოს კონტროლის ქვეშ და ბაქოდან ფქვილ[...] ქატოს გადაგზავნა ტარიფის გავრცელებით ზემოაღნიშნულ წესით [...] ნის პირველ სადგურიდან—დანიშნულების უკანასკნელ სადგურამ[...]

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ბაქოში კომერციულ [...] აგენტოში და ტფილისში ეკონომიურ ნაწილის ქალაქის სადგურის[...] ყოფილებაში.

ნის. 1039 [...]



სახელმწიფო უნივერსიტეტის

კბილის სნეულებათა კლინიკაშ[ი]

(პლეხანოვის პროსპ. № 126).

ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9—1 საათ. და საღამო[ს] 4—6 მდე.

748 20 [...]



ექიმი

ქ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს [ღებუ]ლობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის [გზის] სამმართველოს მახლობლად.

746—25—1[...]



ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მკურნ[ალო]ბას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელ[მძღვა]ნელობით. ტფილისი, ყურგანოვის ქ. № 20.

126—25—1[...]



დავკარგე პირადობის მოწმობა № 1335 იოსებ დავითის ძ[...] ბახტაძისის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულ[ად].

840 [...]


## განცხადებები


ღრმად დამწუხრებული მშობლები ვასილ და ტიშინკა, ძმები: ვალოდია და ალიოშა დუდუჩავები; მამიდაშვილები: იაკიმე, ილარიონ, იონა, რაჟდენ. შუშანიკა, თამარა და ბენიამენ უშვერიძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის ძვირფასი

გიორგი (ხუტუნია-ყორყიკა)

დუდუჩავას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას ამა აპრილის 20. საჭამიასერის თემში (გურია).

844 1—1



ყველა პატიოსან ნაცნობთა და შემდეგ ნათესავთა საყურადღებოდ; 1924 წელი, 14 აპრილი, ღამის 12 საათი; ქალაქის № 2-რე (ალექსანდროვის) საავადმყოფოში გარდაიცვალა ახალგაზრდა მოქალაქე

ევსევი ილიგისტროს ძე

ფანჯავიძე

ცხედრის გამოსვენება მოხდება აღნიშნული საავადმყოფოდან, კვირას 20 აპრილს, დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე პატივის ცემით. ღრმად მწუხარე ერთად ერთი ძმა მისი იონა ფანჯავიძე.

843 1—1



ვ. ი. ლენინის სახელობ.

საოპერო თეატრი

დღეს შაბათს,

წარმოდგენა პროფკავშირების წევრთათვის

თქროს მამალი

კვირას, 20 აპრილს განახლების შემდეგ მეორეჯერ

აბესალომ და ეთერი

ნ. 1045—4—4



# თბილისის კომუნალური ბანკი

პუშკინის ქუჩა № 3

15 აპრილიდან სანამ ცვლილება არ მოხდება

აძლევს სახელდახელო ანგარიშებზე (ჩეკებით და უჩეკოთ)

და უვადო ანაბარზე 7 პროცენტს წელიწადში

ვადიან ანაბარზე:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვემდი | — | 7 პროცენტს წელიწადში | |
| 1 თვიდან 3 თვემდი | 7 ნახ. პროც. | ,, | |
| 3 ,, 6 ,, | 8 პროცენტს | ,, | |
| 6 თვიდან 9 თვემდი | 8 ნახ. პროც. | წელიწადში | |
| 9 ,, 12 ,, | 9 პროცენტს | ,, | |

1046 კრ.


სტამბა „ზარია ვოსტოკის" სახე. შალიკაშვილის ქუჩა № 4